

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის

ბრძანება № 01-01/57

თბილისი

“ 06 “ სექტემბერი 2018 წ.

შემოდგომის სემესტრში მობილობის ვადების ცვლილების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნ-ის წესდების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21.08. №761/ი ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის № 01-01/44 16.07.2018წ. ბრძანებაში
კერძოდ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
 - ✓ ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის უნივერსიტეტში გამოცხადების და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - **2018 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით**
 - ✓ უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა **2018 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით**
 - ✓ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების (თანდართული ელექტრონული ფორმით) ცენტრში წარდგენის ვადა - **2018 წლის 14 სექტემბერი;**
 - ✓ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2018 წლის 01 ოქტომბრამდე ;**
 - ✓ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა - **2018 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით;**
 - ✓ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების ცენტრში წარდგენის ვადა - **2018 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით;**
 - ✓ მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - **2018 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით;**
 - ✓ მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახვის ვადა - **2018 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით;**

- ✓ მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) ცენტრში წარდგენის ვადა - **2018 წლის 7 ოქტომბრამდე**;
- ✓ მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა - **სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა**.

2. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

3. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი